# ბაღდათის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

## დადგენილება №6
## 2025 წლის 7 მარტი

## ქ. ბაღდათი

**„ბაღდათის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის დებულების დამტკიცების შესახებ" ბაღდათის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 17 იანვრის №4 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე**

„ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი" საქართველოს ორგანული კანონის 61-ე მუხლის მე-2 ნაწილის, „ნორმატიული აქტების შესახებ" საქართველოს ორგანული კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, ბაღდათის მუნიციპალიტეტის საკრებულო **ადგენს:**

**მუხლი 1**

ბაღდათის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის დებულების დამტკიცების შესახებ" ბაღდათის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 17 იანვრის №4 დადგენილებაში (საკანონმდებლო მაცნე www.matsne.gov.ge, 24.01.2018წ, სარეგისტრაციო კოდი: 010250050.35.124.016280) შეტანილი იქნეს შემდეგი სახის ცვლილება:

**დადგენილებით დამტკიცებული მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის დებულების:**

**1. მე-4 მუხლის ( აპარატის უფროსი) პირველი პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:**

„1. აპარატის მუშაობას ხელმძღვანელობს, ორგანიზაციასა და კოორდინაციას უწევს ადმინისტრაციული ხელშეკრულებით დასაქმებული პირი – აპარატის უფროსი, რომელთანაც კანონმდებლობით დადგენილი წესით ადმინისტრაციულ ხელშეკრულებას აფორმებს საკრებულოს თავმჯდომარე. აპარატის უფროსის უფლებამოსილებები და სამსახურებრივი ფუნქციები განისაზღვრება ამ დებულებით და საკრებულოს თავმჯდომარესთან გაფორმებული ადმინისტრაციული ხელშეკრულებით.".

**2. მე-6 მუხლი (აპარატის პროფესიული საჯარო მოსამსახურეები) ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:**

**„მუხლი 6. აპარატის საჯარო მოსამსახურეები**

1. აპარატის საჯარო მოსამსახურეებია: პირველი რანგის პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი – აპარატის უფროსი და მე-3 რანგის უფროსი სპეციალისტები, რომელთა ფუნქცია-მოვალეობები განისაზღვრება ამ დებულებით და სამუშაო აღწერილობების შესაბამისად.".

**მუხლი 2**

დადგენილება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე და გავრცელდეს 2024 წლის 30 დეკემბრიდან წარმოშობილ სამართლებრივ ურთიერთობებზე.

**ბაღდათის მუნიციპალიტეტის**
**საკრებულოს თავმჯდომარე** **ნოდარ გიორგიძე**